ქალაქ თბილისის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების საკითხთა კომისიის სხდომის ოქმი №7

ქ. თბილისი 20 თებერვალი 2013 წელი.

სხდომას ესწრებოდნენ:

კომისიის თავმჯდომარის

მოადგილე კახაბერ ნიაური

კომისიის აღმასრულებელი

მდივანი ლევან გეგეშიძე

კომისიის წევრები: ნინო გვენცაძე, დავით მახარობლიშვილი, გიორგი ჩაჩანიძე, გია აბულაძე, მანუჩარ მახათაძე, ნიკოლოზ ჩხაიძე.

მოწვეულები: გ. სულაბერიძე, ლ. ჩიქოვანი, ნ. საპირი, რ. ტყემალაძე, ნ. სვანიძე, მ. ჩხაიძე, ლ. ხატიაშვილი, დ. გოგიჩაიშვილი, ზ. ნეფარიძე, ნ. სიხარულიძე, მ. ცუხიშვილი, მ. რევაზიშვილი, ნ. ტუღუში, ვ. ძაგანია, ვ. ტარასაშვილი, ტ. ბოჭორიშვილი, ნ. დვალიშვილი, ლ. ძაგნიძე, დ. შენგელია, ნ. დვალი, ა. ზერეკიძე, შ. დაბრუნდაშვილი, მ. კაპანაძე, ბ. გავაშელი, დ. კილაძე, გ. გოგოძე, ს. აბჟანდაძე, დ. ელიკაშვილი, ნ. სებისკვერაძე, ა. შალამბერიძე, გ. მერებაშვილი, გ. ქობაძე, კ. ხინთიბიძე, ე. ომანაძე.

დ ღ ი ს წ ე ს რ ი გ ი:

8. ქ. თბილისში, ვაკე-საბურთალოს რაიონში, ზ. ფალიაშვილის ქ. №87-ში არსებულ მიწის ნაკვეთზე არსებული ადმინისტრაციული შენობის სასტუმროდ რეკონსტრუქციის მიზნით, ქალაქთმშენებლობითი პარამეტრების გაზრდის შესახებ.

(მოწვეულები – დ. გოგიჩაიშვილი, ზ. ნეფარიძე).

9. ქ. თბილისში, ვაკე-საბურთალოს რაიონში, ბუდაპეშტის I შესახვევის №№6, 8-ში, არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: №01.10.14.005.055) მშენებარე მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლისთვის, ქალაქთმშენებლობითი პარამეტრების გაზრდისა და „ქალაქ თბილისის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულერების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის 27 მარტის №4-13 გადაწყვეტილების №35-ე მუხლის მე-2 პუნქტით განსაზღვრული Y-ის მნიშვნელობის განსაზღვრის შესახებ.

(მოწვეული – ნ. სიხარულიძე).

10. ქ. თბილისში, ისანი-სამგორის რაიონში, ორთაჭალის ქ. №18-ში არსებულ მიწის ნაკვეთზე მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის განთავსების მიზნით, ქალაქთმშენებლობითი პარამეტრების გაზრდის შესახებ.

(მოწვეული – მ. ცუხიშვილი).

11. ქ. თბილისში, ისანი-სამგორის რაიონში, ქ. წამებულის გამზირის №57ა-ში, ბოჭორმის ქ. №50/18-ში არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: № 01.17.13.041.019) მრავალფუნქციური შენობის (კომერციული-საოფისე და საცხოვრებელი) განთავსების მიზნით, ქალაქთმშენებლობითი პარამეტრების გაზრდის შესახებ.

(მოწვეულები – მ. რევაზიშვილი, ნ. ტუღუში).

12. ქ. თბილისში, ვაკე-საბურთალოს რაიონში, რაზმაძის ქ. №52-ში არსებულ მიწის ნაკვეთზე მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის განთავსების მიზნით, ქალაქთმშენებლობითი პარამეტრების გაზრდის შესახებ.

(მოწვეულები – ვ. ძაგანია, ვ. ტარასაშვილი).

13. ქ. თბილისში, დიდუბე-ჩუღურეთის რაიონში, ხოშარაულის ქ. №28-ში არსებულ მიწის ნაკვეთზე მრავალფუნქციური კომპლექსისთვის ქალაქთმშენებლობითი პარამეტრების გაზრდის შესახებ.

(მოწვეული – ტ. ბოჭორიშვილი).

14. ქ. თბილისში, ვაკე-საბურთალოს რაიონში, ზ. ფალიაშვილის ქ. №100-ში, არსებულ მიწის ნაკვეთზე მრავალფუნქციური (საცხოვრებელი, კომერციული)

შენობის სასტუმროდ რეკონსტრუქციის მიზნით, ქალაქთმშენებლობითი პარამეტრების გაზრდის შესახებ.

განმცხადებელი – ზ. ნეფარიძე. AR 1109753
დადგენილი პარამეტრები – კ1=0,7, კ2=3,5.
მოთხოვნილი პარამეტრები – კ1=0,8, კ2=4,5.

აზრი გამოთქვეს:

- მისაღებია კ1=0,7-ის ფარგლებში.
- მისაღებია. კ2 მისაღებია, კ1 არაუმეტეს 0,7-სა.
- არ არის მისაღები.
- მისაღებია კ1=0,7.
- მისაღებია კ1=0,7.
- არ არის მისაღები.
- მისაღებია. კ2 მისაღებია. კ1 დარჩეს 0,7. ვინაიდან არ მოხდეს სამეზობლო მიჯნაზე დარღვევა.
- მისაღებია კ1=0,7.

1. მიეცეს თანხმობა ქ. თბილისში, ვაკე-საბურთალოს რაიონში, ზ. ფალიაშვილის ქ. №87-ში არსებულ მიწის ნაკვეთზე არსებული ადმინისტრაციული შენობის სასტუმროდ რეკონსტრუქციის მიზნით, ქალაქთმშენებლობითი პარამეტრების გაზრდაზე.

2. არსებული ტერიტორიის განაშენიანების კოეფიციენტი და განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტი განისაზღვროს: კ1=0,7, კ2=4,5.

რეკომენდაცია: მშენებლობის ნებართვის გაცემისას, გათვალისწინებული იქნეს „ადგილობრივი მოსაკრებლის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის მე-5 პუნქტის, 122-ე მუხლისა და „ქალაქ თბილისის ტერიტორიებზე სპეციალური (ზონალური) შეთანხმების გაცემისათვის მოსაკრებლის განაკვეთების განსაზღვრისა და გადახდის ინსტრუქციის დამტკიცების შესახებ“ ქ. თბილისის საკრებულოს 29.06.07 წლის №7-41 გადაწყვეტილებისა და ქ. თბილისის მთავრობის 2012 წლის 28 თებერვლის №06.11.162 დადგენილების მოთხოვნები.

განხილვის შედეგი: მომხრე: 6, წინააღმდეგი: 2.

9. ნ. სიხარულიძის ინფორმაცია ქ. თბილისში, ვაკე-საბურთალოს რაიონში, ბუდაპეშტის I შესახვევის №№6, 8-ში, არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: №01.10.14.005.055) მშენებარე მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლისთვის, ქალაქთმშენებლობითი პარამეტრების გაზრდისა და „ქალაქ თბილისის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულერების წესების დამტკიცების შესახებ” ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის 27 მარტის №4-13 გადაწყვეტილების №35-ე მუხლის მე-2 პუნქტით განსაზღვრული Y-ის მნიშვნელობის განსაზღვრის შესახებ.

განმცხადებელი – გ. მუსაშვილი. AR 1110082

დადგენილი პარამეტრები – კ2=2,5.
მინიჭებული პარამეტრები – კ2=3,5.
მოთხოვნილი პარამეტრები – კ2=3,7.
დადგენილი Y=0,4.
მოთხოვნილი Y=0,3.

აზრი გამოთქვეს:

- მისაღებია.
- მისაღებია.
- არ არის მისაღები.
- მისაღებია.
- მისაღებია.
- მისაღებია.
- მისაღებია.
- მისაღებია.

1. მიეცეს თანხმობა ქ. თბილისში, ვაკე-საბურთალოს რაიონში, ბუდაპეშტის I შესახვევის №№6, 8-ში, არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: №01.10.14.005.055) მშენებარე მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლისთვის, ქალაქთმშენებლობითი პარამეტრების გაზრდისა და „ქალაქ თბილისის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულერების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის 27 მარტის №4-13 გადაწყვეტილების №35-ე მუხლის მე-2 პუნქტით განსაზღვრული Y-ის მნიშვნელობის განსაზღვრაზე Y=0,3-ით.

2. არსებული ტერიტორიის განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტი განისაზღვროს: კ2=3,7.

რეკომენდაცია: მშენებლობის ნებართვის გაცემისას, გათვალისწინებული იქნეს „ადგილობრივი მოსაკრებლის შესახებ" საქართველოს კანონის მე-5 მუხლის მე-5 პუნქტის, 122-ე მუხლისა და „ქალაქ თბილისის ტერიტორიებზე სპეციალური (ზონალური) შეთანხმების გაცემისათვის მოსაკრებლის განაკვეთების განსაზღვრისა და გადახდის ინსტრუქციის დამტკიცების შესახებ" ქ. თბილისის საკრებულოს 29.06.07 წლის №7-41 გადაწყვეტილებისა და ქ. თბილისის მთავრობის 2012 წლის 28 თებერვლის №06.11.162 დადგენილების მოთხოვნები.

განხილვის შედეგი: მომხრე: 7, წინააღმდეგი: 1.

10. მ. ცუხიშვილის ინფორმაცია ქ. თბილისში, ისანი-სამგორის რაიონში, ორთაჭალის ქ. №18-ში არსებულ მიწის ნაკვეთზე მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის განთავსების მიზნით, ქალაქთმშენებლობითი პარამეტრების გაზრდის შესახებ.

განმცხადებელი – მ. ცუხიშვილი. AR 1110165
დადგენილი პარამეტრები – კ2=0,8.
მოთხოვნილი პარამეტრები – კ2=3,3.

მიეცეს თანხმობა ქ. თბილისში, გლდანი-ნაძალადევის რაიონში, ცოდნისკარის ქ. №5-ის მიმდებარედ არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: №01.12.03.009.015) შერეული ფუნქციის (საცხოვრებელ-კომერციული) შენობის განთავსების მიზნით, სპეციალური ზონალური ნებართვისა და ქალაქთმშენებლობითი პირობების გაცემაზე.

განხილვის შედეგი: დასკვნა მიღებულია ერთხმად.

კომისიის თავმჯდომარის

მოადგილე კახაბერ ნიაური

კომისიის აღმასრულებელი

მდივანი

ქალაქ თბილისის მერი

განკარგულება № 339

„ 1 „ მარტი 2013 წ.

ქ. თბილისში, ბუდაპეშტის I შესახვევის №№6,8-ში არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: №01.10.14.005.055), მშენებარე მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლისთვის ქალაქთმშენებლობითი პარამეტრების გაზრდის სპეციალური (ზონალური) შეთანხმების გაცემის შესახებ

„საქართველოს დედაქალაქის – თბილისის შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის მე-3 პუნქტის „ნ“ ქვეპუნქტის, “ქალაქ თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების თაობაზე“ ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის 27 მარტის №4-13 გადაწყვეტილებით დამტკიცებული ქალაქ თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების 25-ე, 26-ე მუხლების და ქალაქ თბილისის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების საკითხთა კომისიის 2013 წლის 20 თებერვლის სხდომის №7 ოქმის შესაბამისად:

1. ქ. თბილისში, ბუდაპეშტის I შესახვევის №№6,8-ში არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: №01.10.14.005.055), მშენებარე მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლისთვის ქალაქთმშენებლობითი პარამეტრების გაზრდის ინტენსივობის კოეფიციენტის (კ2) გადამეტების მიზნით, გაიცეს სპეციალური (ზონალური) შეთანხმება საპროექტო წინადადებით, წარმოდგენილი პარამეტრების შესაბამისად და განისაზღვროს: კ2=3,7.

2.სპეციალური (ზონალური) შეთანხმების გაცემის მოსაკრებელი გადახდევინებულ იქნეს ”ადგილობრივი მოსაკრებლების შესახებ” საქართველოს კანონის მე-5 მუხლის მე-5 პუნქტის, 122-ე მუხლისა და ”ქალაქ თბილისის ტერიტორიებზე სპეციალური (ზონალური) შეთანხმების გაცემისათვის მოსაკრებლის განაკვეთების განსაზღვრისა და გადახდის ინსტრუქციის დამტკიცების შესახებ ქ. თბილისის საკრებულოს 29.06.07 წლის №7-41 გადაწყვეტილების შესაბამისად და ქ.თბილისის მთავრობის 2012 წლის 28 თებერვლის №06.11.162 დადგენილების საფუძველზე ქ. თბილისის ბიუჯეტში გადასახდელი სპეციალური (ზონალური) მოსაკრებლისთვის გახსნილ ანგარიშზე. მიმღების დასახელება: ქ. თბილისის მერია. მიმღების ბანკი: „სს ლიბერთი ბანკი” ც/ფ. ბანკის კოდი: LBRTGE22 (220101480) ა/ანგარიში: GE48LB0125152101628428.

3. დაევალოს ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიულ პირს – ქალაქ თბილისის არქიტექტურის სამსახურს: შესაბამისი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების გამოცემისას, გაითვალისწინოს კომისიის რეკომენდაციები.

4.კონტროლი განკარგულების შესრულებაზე დაევალოს ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიულ პირს – ქალაქ თბილისის არქიტექტურის სამსახურის უფროსს.

5. წინამდებარე ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გასაჩივრება შესაძლებელია თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კილომეტრი №6), გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

ქ. თბილისის მერის პირველი
მოადგილე (ვიცე-მერი) გიორგი ყარეხელიძე